

## ხემცენარეთა გვარ *Celtis* -ის ქართული სამეცნიერო სახელების დაზუსტების აუცილებლობა

ავტორი ნანა ხოჭოლავა - მაჭავარიანი არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თბილისი, პ. ინგოროყვას #8.

ელფოსტა: [mzeshina@mail.com](mailto:mzeshina@mail.com)

### ანოტაცია

მცენარეთა კონკრეტულ გვარებს, სახეობებს საკუთარი მკაფიო სამეცნიერო სახელი უნდა მოეპოვებოდეს. მეტი სიზუსტისათვის აუცილებელია შეიცვალოს ხემცენარეთა გვარ *Celtis*-ის დღეს მიღებული შემდეგი ქართული სამეცნიერო სახელები: აკაკი (მაყაშვილი 1961; საქ. ფლ. 1975), **ბრინჯის ხე** (ჩუბინაშვილი 1961).

მიზეზები: 1. აკაკი არის ხემცენარის **ნაყოფის** სახელი; 2. არაერთ ლექსიკონში აკაკი ორი სრულიად სხვადასხვა მცენარის სახელად დასტურდება, შდრ.: *Celtis caucasica* Willd. / *Celtis australis* L. (=აკაკი, **К а р к а с**) და *Artocarpus incise* L. (=პურის ხე, **х л е б н о е д е р е в о , х л е б н о е р а с т е н и е**) (ერისთავი 1884; ჩუბინაშვილი 1985); 3. აკაკი ადამიანის საკუთარი სახელიცაა, რაც ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევს; 4. რ. ერისთავის (1884) და დ. ჩუბინაშვილის (1985) ლექსიკონებში დენდრონიმი **ბრინჯის ხე** სხვა ხემცენარეს (*Artocarpus incise*) აღნიშნავს; 5. **ბრინჯის ხის** პირველი კომპონენტი სხვა მცენარის, **ბრინჯის** (*Oryza sativa*), ომონიმია.

პრობლემის გადაჭრისას საყურადღებო აღმოჩნდა ძველ ქართულში რიგი სინონიმებისა და ომონიმების დადასტურება, მათი ურთიერთკავშირის ახსნა. კერძოდ: ა) საბას „სიტყვის კონაში“ სახელი **ბრინჯი** სამ სხვადასხვა საგანს აღნიშნავს, ესენია: ლითონი, მარცვლოვანი მცენარე, ხემცენარე (შდრ.: „**ბრინჯი 1.** ბრინჯაო; **2.** (ბალ.) მარცვალი თეთრი; **3.** (ხე) აკაკის ხე“ (საბა 1991); ბ) ამავე ლექსიკონში **ბრინჯი** და **ბრინჯაო** სინონიმებია და აღნიშნავს ლითონს, რომელიც სპილენძისა და თუთიის შენადნობია (დღევანდელი „თითბერი“); გ) **ბრინჯი** („მარცვლეული“) და **ბრინჯი** („ლითონი“) ძველ ქართულში სხვადასხვა წარმომავლობისა და დროის ნასესხობები ჩანს; დ) ლითონის აღმნიშვნელი სახელი **ბრინჯაო** ქართულში გვიან დამკვიდრებული ფორმა უნდა იყოს მარცვლოვანი მცენარის (*Oryza sativa*) სახელთან ომონიმის დასაძლევად.

რაკი ძველ ქართულში სახელი **ბრინჯი** აღნიშნავდა მარცვლოვან კულტურასაც და ლითონსაც, ვვარაუდობთ, რომ დენდრონიმები **ხე ბრინჯისა** (მოქც., 2015), **ბრინჯი** (საბა), **ბრინჯის ხე** (ჩუბინაშვილი 1961) იგივე „**ბრინჯაოს ხეა**“, რომლის მოტივაცია, თავის მხრივ, უნდა

უკავშირდებოდეს ხემცენარის მერქნის გარკვეული ნიშან-თვისებების მსგავსებას ლითონ **ბრინჯაოს** („თითბერი“) ნიშან-თვისებებთან (**მერქნის სიმტკიცე და ფერი**).

ლინგვისტური ანალიზის, ბოტანიკური და ლექსიკოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, ხემცენარეთა აღნიშნული გვარისათვის მკაფიო სამეცნიერო სახელის დასამკვიდრებლად უნდა განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები: აკაკი > 1. **აკაკის ხე *Celtis***; 2. **ბრინჯი, ბრინჯის ხე > ბრინჯაოს ხე *Celtis***.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული სამეცნიერო სახელი, აკაკი, ბრინჯი, აკაკის ხე, ბრინჯაოს ხე

## შესავალი

საყოველთაოდ მიღებულია, რომ მცენარეთა კონკრეტულ გვარებს, სახეობებს საკუთარი სამეცნიერო სახელი (ე.წ. „პასპორტი“) უნდა მოეპოვებოდეს. ამასთან, აუცილებელია ამ სახელთა სიზუსტე, მკაფიოობა, ლათინურ ნომენკლატურასთან შესაბამისობა.

ამ მხრივ ყურადღება მიიქცია ხემცენარეთა გვარ ***Celtis***-ის ქართულმა სამეცნიერო სახელებმა: **აკაკი** (მაყაშვილი 1961; საქ. ფლ. 1975: 74) და **ბრინჯის ხე** (ჩუბინაშვილი 1961).

ჩვენში გავრცელებულია ამ გვარის შემდეგი სახეობები: **კავკასიური აკაკი *Celtis caucasica* Willd.**, **სამხრეთის აკაკი *Celtis australis* L.** და **გამიშვლებული აკაკის ხე *Celtis glabrata* Stev. ex Planch.**

## ძირითადი ნაწილი

დღეისათვის ***Celtis***-ის გვარის საყოველთაოდ მიღებული სამეცნიერო (ოფიციალური) სახელები (**აკაკი, ბრინჯის ხე**) უნდა შეიცვალოს. ცვლილებისათვის ვხედავთ შემდეგ მიზეზებს:

I. „აკაკი“ (საბა 1991; ბაგრატიონი 1986; ჩუბინაშვილი 1961; ერისთავი 1884; ჩუბინაშვილი 1985; მაყაშვილი 1961; სვ 1975).

ა) **აკაკი** არის აღნიშნული გვარის ხემცენარეთა (მისი ყველა სახეობის) ოდენ **ნაყოფის** სახელი, შდრ.: „აკაკი - (ხე) ბრინჯის-ხის ხილი ZAC. (ხე) ხე, ბრინჯის ხილი B.“ (საბა 1991: 43). (სახელი **აკაკი** ბერძნული ნასესხობა ჩანს, შდრ., „**ἄκακος**, -ov უბოროტო“ - გიორგობიანი 2013). მის ბერძნულ წარმომავლობას მიუთითებს დავით ჩუბინაშვილიც (ჩუბინაშვილი 1985).

ბ) რ. ერისთავისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში **აკაკი** ორი სრულიად სხვადასხვა მცენარის სახელად დასტურდება, ესენია: 1. ***Celtis caucasica* Willd. / *Celtis australis* L.** (=აკაკი, **К а р к а с**) და 2. ***Artocarpus incise* L.** (=პურის ხე, **х л е б н о е д е р е в о, х л е б н о е р а с т е н и е**) (ერისთავი 1884; ჩუბინაშვილი 1985). ეს უკანასკნელი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მცენარეა.

გ) დენდრონიმის გარდა **აკაკი** ადამიანის საკუთარი სახელიცაა, რაც ერთგვარ ბუნდოვანებას და ირონიას იწვევს (როგორც ჩანს, სპეციალურ ლიტერატურაში ***Celtis glabrata***-ს ქართულ სახელად ამიტომ გვაქვს „**გამიშვლებული აკაკის ხე**“ და არა „**გამიშვლებული აკაკი**“).

ამგვარად, მეტი სიცხადისათვის სამეცნიერო სახელ **აკაკის** ნაცვლად, უმჯობესია გვქონდეს **აკაკის ხე**. ამასთან, ეს ფორმა დასტურდება ს.ს. ორბელიანის, ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში.

II. „ბრინჯის ხე“ ( მაყაშვილი 1961), „ბრინჯი“ (საბა 1991; აბულაძე 1973), „ხე ბრინჯისა“ (მოქც., 2015).

ა) დენდრონიმი **ბრინჯის ხე** რ. ერისთავისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში მხოლოდ და მხოლოდ დასახელებულ სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მცენარე *Artocarpus incise*-ს აღნიშნავს, რომლის ქართული სამეცნიერო სახელი **პურის ხე**, თავის მხრივ, რუსული სახელის ( х л е н н о е д е р е в о ) კალკია (შდრ., ასევე, *ძვ.ბერძ.* „ἄριστος, -ου ὶ - პური, კერძოდ, ხორბლის“-გიორგობიანი 2013). ბ) ბუნდოვანებას იწვევს ამ სახელის პირველი კომპონენტის ომონიმია საყოველთაოდ ცნობილი მარცვლოვანი კულტურის, **ბრინჯის *Oryza sativa* L.**, სამეცნიერო სახელთან. ამას,

ჩვენი დაკვირვებით, უნდა განაპირობებდეს ძველ ქართულ ენაში არსებული ის ომონიმია, რომელიც ასახულია „სიტყვის კონაში“ და, რომელსაც ახსნა სჭირდება, შდრ.: „**ბრინჯი 1.** ბრინჯაო Z.; **2.** (ბალ.) მარცვალი თეთრი ZA.; **3.** (ხე) (+ ნინოს ცხ<sup>4</sup>. Z) აკაკის ხე ZE.“ (საბა 1991).

„სიტყვის კონაში“ წარმოდგენილი ამ განმარტებით, სახელი **ბრინჯი** სამ სხვადასხვა საგანს აღნიშნავს: ლითონს, მარცვლოვან მცენარეს, ხემცენარეს. აქ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ლითონის სახელები **ბრინჯაო** და **ბრინჯი** სინონიმებია, რაც, ასევე, კარგად ჩანს საკუთრივ **ბრინჯაოს** განმარტებისას, შდრ.: „**ბრინჯაო (ბრინჯაო და ბრინჯი E)** სპილენძსა და თუთია–ალრეულსა ბ რ ი ნ ჯ ა ო ეწოდების, ხოლო ბუნებით ყვითელს სპილენძსა–თ ვ ი თ ბ ე რ ი A. **ბრინჯი**, ორი წონა სპილენძი და ერთი წონა თუთია– რა გაურიო, გაყვითლდების და ბ რ ი ნ ჯ ა ო იქმნების, ხოლო თ ვ ი თ ბ ე რ ი ბუნებით ყვითელი სპილენძი არს B. **ბრინჯი C. განუმარტავია E.**“ (საბა 1991).

ამ საინტერესო ომონიმიის ჩვენეული ახსნა ასეთია: **ბრინჯი** („მარცვლეული“) და **ბრინჯი/ბრინჯაო** („ლითონი“) ქართულში სხვადასხვა წარმომავლობისა და დროის ნასესხობებია, რამაც მოგვიანებით ომონიმია მოგვცა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, მარცვლოვანი კულტურის სახელი **ბრინჯი** ნასესხებია ახალი სპარსულიდან, სადაც ამ მარცვლეულს **birinj** ეწოდება და „ახალი სპარსულიდან ამ ტერმინის ნასესხობა... სიტყვა „ბრინჯ“-ს ქართულში IX ს-ზე უწინარეს შემოსულად ვერ გვაგულისხმებინებს“ (ჯავახიშვილი 1930: 359). შდრ., ასევე: „სომხურში **birinj** ფორმა გვაქვს, თურქულში **birinj**. საოცარია, რომ ქართული ფორმა ზედმიწევნით ემთხვევა ფალაურს (შდრ. ფალ. **Brinj** „ბრინჯი“...). საოცარია იმის გამო, რომ ძველ ქართულ ძეგლებში ეს სიტყვა არ ჩანს“ (გიგინეიშვილი 2016). გასაზიარებელია ამ მარცვლოვანი კულტურის ქართული წარმოშობის სახელის ვერ დადასტურების მიზეზები: ა) არ შემოგვენახა მისი ამსახველი ძეგლები (გიგინეიშვილი 2016), ბ) მოგვეპოვებოდა სხვა სახელი, რომელიც დაიკარგა და საძიებელია. ივანე ჯავახიშვილი წერს: „თუ ეს მარცვლეული იმ უძველეს ხანაში საქართველოში შემოჰქონდათ, მაშინ, ცხადია, მისთვის ახალ-სპარსულითგან ნასესხები *ბრინჯის* მაგიერ, სხვა რაიმე სახელი უნდა ჰქონოდათ ჩვენს წინაპრებს. თუ მომავალში გამოირკვა, რომ „ბრინჯის“ გარდა სხვა სახელი არ არსებობდა, მაშინ ეს მარცვლეული საქართველოში IX ს-ითგან შემოსულად უნდა ვიგულისხმოთ... მაგრამ, თუ ამ საყურადღებო საკითხის გადასაწყვეტად აღმ. საქართველოს შესახებ მკვლევარი ამჟამად ჯერ კიდევ გადაჭრილს ვერაფერს იტყვის, დასავლეთ საქართველოში

ამ მცენარის გავრცელების დასაწყის ხანაზე ერთი მოსაზრების გამოთქმა ახლაც შეიძლება... დასავლეთ საქართველოში ბრინჯის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოთაგან არ უნდა იყოს შესული... თვით ბრინჯის მეგრულ სახელს „ორჯა“-საც სპარსულითაგან შეთვისებულ ქართულ *ბრინჯთან* კავშირი არა აქვს... მეგრული „ორჯა“, ან „ორიზა“, „ორჯა“ წარმოადგენს ბერძნულ ἄριζα „ორჯა“-ს... ბერძნულიდან ეს სიტყვა ლათინურმაც შეითვისა იმავე *Oryza*-ს სახით. მაშასადამე, ბრინჯის კულტურა დასავლეთ საქართველოში უნდა საბერძნეთის გზით იყოს შემოსული... რომის, ანდა ბიზანტიის ჰეგემონიის ხანაში... იზადება აზრი და კითხვა, შესაძლებელია, თუ არა, რომ დასავლეთ საქართველოში საბერძნეთის გზითა და ბერძნული სახელით ბრინჯი დიდი ხნის გავრცელებული ყოფილიყოს და იმავე დროს აღმოსავლეთ საქართველოში IX–X ს-მდე... ამ მარცვლეულისა არც რამე სცოდნოდეთ და არც სახელი ჰქონოდეთ? ეს ძნელი დასაჯერებელია და ამიტომ ამ საკითხის გადასაწყვეტად ჯერ კიდევ უძველესი ქართული ძეგლების მოძებნა და შესწავლაა საჭირო“ (ჯავახიშვილი 1930: 360-361).

ძველ ქართულ ძეგლებში არ ჩანს სიტყვა *ბრინჯაოც* („ლითონი“), რომელსაც ასევე ნასესხობად მიიჩნევენ, შდრ: „საფიქრებელია, რომ საშ. სპარსულში გვექონდა \**pirinz*, რომელიც საფუძვლად დაედო ყველა დანარჩენ ფორმებს, სახელდობრ ქართულ *ბრინჯაოს*...“ (ანდრონიკაშვილი 1966: 362); „სიტყვა ირანული წარმომავლობისა“ (გიგინეიშვილი 2016).

მიგვაჩნია, რომ სახელი *ბრინჯაო* („ლითონი“) ამ ფორმით გვიან დამკვიდრებული უნდა იყოს ქართულში და, როგორც ჩანს, მარცვლოვან ბრინჯთან ომონიმიის თავიდან აცილების მიზნით. სამართლიანადაა მითითებული, რომ „ძნელი ასახსნელია ამ სიტყვის აუსლაუტი, რომელიც ორი ხმოვნისგან (ა და ო) შედგება და, რომლის მსგავსი არაფერია არც საშუალ, არც ახალ სპარსულში“ (გიგინეიშვილი 2016). არ გამოვრიცხავთ, რომ ეს აუსლაუტი (-აო) შეიძლება მიღებული იყოს მოგვიანებით შემოსულ *ბრინჯა* (შდრ.: რუს. *Бронза*, იტალ. *Bronzo*) ფორმაზე დართული ქართული ო-სუფიქსის შედეგად.

რაკი ქართულში *ბრინჯაო* ფორმას გვიან დამკვიდრებულად მივიჩნევთ, ამიტომაც ვვარაუდობთ, რომ ძველ ქართულ ძეგლებში *Celtis*-ის აღმნიშვნელად ვერ დადასტურდებოდა *ბრინჯაოს ხე*. ამასთან, ჩვენი აზრით, დენდრონიმი *ბრინჯის ხე* (ძვ. ხე *ბრინჯისა*, *ბრინჯი*) იგივე ახ. „*ბრინჯაოს ხე*“ და ამ ვარაუდს ისიც გვიმყარებს, რომ აღნიშნული ხის ერთ-ერთ სინონიმურ სახელად დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში დასტურდება სწორედ *ბრინჯაოს ხე*. საყურადღებოა, რომ, საზოგადოდ, დ. ჩუბინაშვილის მცენარეთა სახელების ჩამონათვალი და მათი განმარტებები ძირითადად საბას, რ. ერისთავის, ნ. ჩუბინაშვილის მონაცემების განმეორებაა, თუმცა ამჯერად დ. ჩუბინაშვილი არ ადასტურებს ამ ლექსიკოგრაფთა მიერ მოწოდებულ *ბრინჯის ხეს*, არამედ ცვლის მას და წერს მხოლოდ *ბრინჯაოს ხეს* (რ. ერისთავის ლექსიკონში *ბრინჯის ხე* ისედაც არ აღნიშნავს *Celtis*-ს). როგორც ჩანს, დ. ჩუბინაშვილისათვის (რ. ერისთავისთვისაც) *ბრინჯის ხე* არის *Artocarpus incise* და არა - *Celtis*.

რატომ უნდა დარქმეოდა *Celtis*-ს „*ბრინჯაოს ხე*“?

ვფიქრობთ, დენდრონიმის მოტივაცია უკავშირდება ხემცენარის მერქნის რიგ ნიშან-თვისებებს: ა) მერქნის სიმაგრე, შდრ., მისი სინონიმური სახელები: ქართლ. *ძელქვა* (მაყაშვილი 1961) და რკინის ხე (მს 1973: 609), ასევე, *каменно е дерево* რუს. „ქვის ხე“ (მაყაშვილი 1961).

ბ) მერქნის მომწვანო-მოყვითალო ფერი, შდრ.: „აქვს მომწვანო-ყვითელი ფერის, ძალიან მკვრივი, მტკიცე და მოქნილი მერქანი“ (როლოვი 1908: 107).

აქ საინტერესოა ლითონ ბრინჯაოს რაობა, შდრ.: „ბრინჯაო (ბრინჯაოსი) სპილენძის შენადნობი სხვა ლითონებთან, ჩვეულებისამებრ, კალასთან და ტყვიასთან, - რვალი“ (ქეგლ 1986); „რვალი-ი (რვალისა) ძვ. იგივეა, რაც ბრინჯაო“ (ქეგლ 1986). ამ განმარტებებს თუ შევადარებთ „სიტყვის კონაში“ წარმოდგენილს, დავინახავთ ხელშესახებ სხვაობას, შდრ.: „ბრინჯაო... ორი წონა სპილენძი და ერთი წონა თუთია – რა გაურიო, გაყვითლდების და ბ რ ი ნ ჯ ა ო იქმნების...“; „რვალი (I კორინთ. 13, 1) ესე არს სპილენძთა და კალათა შერევენ და მას შთამოასხმენ სარეკელ ზარად, ლინად და ექვნად ოხრისა და ჳმა–ჟღერისათვის, ვიეთთა ნაცვ(ა)ლად სპილენძთასა აღუწერიათ, გასწორება სჯობს ZA.“ (საბა 1993). ე.ი., საბას მიხედვით, ბრინჯაო არის მხოლოდ და მხოლოდ სპილენძისა და თუთიის ყვითელი ფერის შენადნობი. ამ „რეცეპტით“ ბრინჯაო დღევანდელი თითბერია (რუს. латунь), შდრ.: „თითბერ-ი (თითბრისა) ყვითელი ფერის ლითონი – სპილენძისა და თუთიის შენადნობი“ (ქეგლ 1986), ხოლო ძვ. რვალი - აბ. ბრინჯაოა, შდრ.: „რვალი-ი (რვალისა) ძვ. იგივეა, რაც ბრინჯაო... ||უხმარიათ სპილენძის მნიშვნელობით“. როგორც ვხედავთ, ძველი და ახალი ქართულის მონაცემებით ერთგვარი შეუსაბამობა აღნიშნულ ლითონთა რაობაში. (საზოგადოდ, მიგვაჩნია, რომ სამიებელი და დასაზუსტებელია სახელ ბრინჯი/ბრინჯაო-ს თავდაპირველი სემანტიკა. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ეს შეიძლება იყოს „სპილენძი“, „წითელი/ყვითელი სპილენძი“).

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ძველ ქართულში დადასტურებული ბრინჯის ხე იგივე ბრინჯაოს ხეა (\*„თითბერის ხე“, ან „სპილენძის ხე“).

გ) გარდა მერქნის სიმტკიცისა და შეფერილობისა, სახელი ბრინჯაოს ხე შესაძლოა თითბერის (ან სპილენძის) მიღება-გამოყენების უძველეს ცოდნას უკავშირდებოდეს და, შესაბამისად, ლითონის მწარმოებელ ხალხებში მითოლოგიურ დატვირვასაც იმენდეს (საკითხი საკვლეფია). გასათვალისწინებელია, რომ *Celtis*-ი, როგორც საკრალური ხე, ფიგურირებს უძველეს ქართულ რწმენა-წარმოდგენებსა და ტრადიციებში. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ხატის ტყეებში მუხის, ცაცხვის, ურთხლის და სხვა ხეთა მსგავსად, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აკაკის ხესაც და ჩვენში დღემდე შემორჩენილი წესი - ბზაზე, იფანზე, აკაკიზე, უთხოვარზე... ჯიხვისა თუ ირმის რქების ჩამოვიდება, ღაზლის ძაფის შემოვლება, ფერადი ნაჭრების მიბნევა - უძველეს რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება (იხ. კოტეტიშვილი 1961: 402-404). გამოთქმულია მოსაზრება, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს წმინდა ნინოს მისვლა ბრინჯის ხესთან და ლოცვა. სავარაუდოა, რომ არმაზის თავყანისცემის პერიოდში ის საკულტო ხედ იყო მიჩნეული, ხოლო წმინდა ნინოს მიერ მისი ქრისტიანულად კურთხევა დიდი რელიგიური მნიშვნელობისა ჩანს (ელაშვილი 1997: 21).

### დასკვნა

ლინგვისტური ანალიზის, ლექსიკოგრაფიული, ეთნოლოგიური და ბოტანიკური მონაცემების გათვალისწინებით, ხემცენარეთა აღნიშნული გვარისათვის (*Celtis*) მკაფიო სამეცნიერო სახელის დასამკვიდრებლად უნდა განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები: 1. აკაკი > აკაკის ხე; 2. ბრინჯი, ბრინჯის ხე > ბრინჯაოს ხე.

### ლიტერატურა

აბულაძე 1973 - ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

**ანდრონიკაშვილი 1966** - მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან I, თბილისი, გამომცემლობა „თსუ“, 1966.

**ბაგრატიონი 1986** - იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო-განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986;

**გიგინეიშვილი 2016** - ბაქარ გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, „ვეფხისტყაოსნის“, აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტი, 2016.

**გიორგობიანი 2013** - თინათინ გიორგობიანი, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“, 2013.

**ელაშვილი 1997** - ქეთევან ელაშვილი, ხეთა სიმბოლიკა ძველ ქართულ პროზაში (V-XII სს-ის ძეგლების მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1997.

**ერისთავი 1884** - რაფიელ ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან, თბილისი, გამომცემლობა „ТКГК“, 1884.

**კოტეტიშვილი 1961** - ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1961.

**მაყაშვილი 1961**- ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961.

**მოქც., 1964** - ლეონტი მროველი, მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ, წმიდად ნინო - ემბაზი ქართლისად, რჩეული წყაროები, მცხეთა, 2015.

**მს 1973** - ნ. კომარნიცკი, ლ. კუდრიაშოვი, ა. ურანოვი, მცენარეთა სისტემატიკა. თბილისი: გამომცემლობა „თსუ“, 1973.

**როლოვი 1908** - Альфред Христофорович Роллов, Дикорастущія растенія Кавказа, თბილისი, გამომცემლობა „ИКФК“, 1908.

**საბა 1991, 1993** - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ტ. I, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 1991, 1993.

**საქ. ფლ. 1975** - საქართველოს ფლორა (მეორე გამოცემა), ტ. III, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.

**ქეგლ 1986** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1986.



**ჩუბინაშვილი 1985** - დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984.

**ჩუბინაშვილი 1961**- ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961.

**ჯავახიშვილი 1930** - ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი, ტფილისი, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 1930.